

შ.პ.ს. „აღგეთი“-ს

(საიდენტიფიკაციო კოდი 234159022)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

|                                                           |      |
|-----------------------------------------------------------|------|
| შესავალი -----                                            | 3    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                  | 4    |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- | 5    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----          | 6    |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----                       | 7-13 |

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს „ალგეთი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ს/კ 234159022 ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

**შ.პ.ს. „ალგეთის“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                           | შენიშვნა | 2021            | 2020            | 2019           |
|-------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                           |          |                 |                 |                |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>              |          |                 |                 |                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები               |          | 343193          | 809582          | 2101821        |
| სავაჭრო მოთხოვნები                        |          | 7334326         | 7093576         | 1480328        |
| გადახდილი ავანსები                        |          | 320991          | 150995          | 1726793        |
| მარაგები                                  |          | 564026          | 1042941         | 908598         |
| მზა პროდუქცია                             |          | 0               | 0               | 361687         |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                |          | 82555           | 61052           | 146111         |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>          |          | <b>8645091</b>  | <b>9158146</b>  | <b>6725338</b> |
| <b>გრძელ ვადიანი აქტივები</b>             |          |                 |                 |                |
| ძირითადი საშუალებები                      |          | 1835307         | 1146840         | 1185415        |
| საინვესტიციო ქონება                       |          | 427246          | 228888          | 240895         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          |          | <b>2262553</b>  | <b>1375728</b>  | <b>1426310</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                       |          | <b>10907644</b> | <b>10533874</b> | <b>8151648</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                   |          |                 |                 |                |
| საწესდებო კაპიტალი შპს-ში                 |          | 4000            | 4000            | 4000           |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები              |          |                 |                 |                |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) |          | 1950076         | 1815949         | 1659595        |
| რეზერვები და დაფინანსება                  |          | 629249          | 629249          | 629249         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |          | <b>2583325</b>  | <b>2449198</b>  | <b>2292844</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                      |          |                 |                 |                |
| სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები   |          | 249181          | 1969827         | 2667301        |
| ანარიცხები                                |          | 4165020         | 5453349         | 341025         |
| საგადასახადო ვალდებულებები                |          | 0               | 0               | 0              |
| სავაჭრო ვალდებულებები (მიღებული ავანსები) |          | 3910118         | 661500          | 2850478        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                  |          | <b>8324319</b>  | <b>8084676</b>  | <b>5858804</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          | <b>10907644</b> | <b>10533874</b> | <b>8151648</b> |

**დირექტორი:**

## მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

|                                    | შენიშვნა | 2021           | 2020            | 2019           |
|------------------------------------|----------|----------------|-----------------|----------------|
| ამონაგები                          |          | 3772575        | 15544809        | 4281545        |
| თვითღირებულება                     |          | (1162871)      | (5456799)       | (1207948)      |
| <b>საერთო მოგება</b>               |          | <b>2609704</b> | <b>10088010</b> | <b>3073597</b> |
| სხვა შემოსავლები                   |          | 67222          | 42073           | 561758         |
| დასაქმებულთა ანაზღაურება           |          | (631427)       | (478779)        | (618983)       |
| ცვეთა ამორტიზაცია                  |          |                | (64777)         | (69452)        |
| იჯარის ხარჯი                       |          | (7500)         | (52259)         | (9694)         |
| ადმინისტრაციული და სხვა            |          | (1679214)      | (9192299)       | (2599109)      |
| საოპერაციო ხარჯი                   |          |                |                 |                |
| ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი) |          | (224658)       | (185615)        | (206885)       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>           |          | <b>134127</b>  | <b>156354</b>   | <b>131232</b>  |

დირექტორი:

## საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4000</b>           | <b>629249</b>          | <b>1659595</b>          | <b>2292844</b>      |
| წმინდა მოგება                 |                       |                        | <b>156354</b>           | <b>156354</b>       |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                        |                         |                     |
| გაცემული დივიდენდი            |                       |                        |                         |                     |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      |                       |                        |                         |                     |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4000</b>           | <b>629249</b>          | <b>1815949</b>          | <b>2449198</b>      |
| წმინდა მოგება                 |                       |                        | <b>134127</b>           | <b>134127</b>       |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                        |                         |                     |
| გაცემული დივიდენდი            |                       |                        |                         |                     |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      |                       |                        |                         |                     |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4000</b>           | <b>629249</b>          | <b>1950076</b>          | <b>2583325</b>      |

დირექტორი:

## განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალგეტი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1995 წლის 26 დეკემბრიდან. რეგისტრაციის N:43/4 – 31 კომპანია დარეგისტრირებულია რაიონული სასამართლოს მიერ, მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი # 234159022.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, დასაწყობება და შენახვა. კომპანიას გააჩნია ოფისი ქ. რუსთავეში გაგარინის ქუჩა N 21, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის იურიდიულ მისამართს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შალვა შალვაშვილი, რომელიც კომპანიის დირექტორია. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 4000 ლარს.

2021 წელს კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 37 ადამიანი.

### 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

#### ფინანსური ინსტრუმენტები და ტერმინთა განმარტებები:

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს მხარეებს შორის საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

#### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

#### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით,

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ბ) შემდგომი ხარჯები** შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **შემცირებული ნაშთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 40 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 10 წელი                              |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 10 წელი                              |
| ავტომობილები               | 10 წელი                              |

## მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

## შემოსავალი

შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, დამკვეთთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

## სახელფასო განაცემები

ხელფასების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976 | 3.5040 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,2766 | 4,0233 |
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677 | 3.2095 |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

### 4. ძირითადი საშუალებები (ლარში)

|                                         | შენობა -<br>ნაგებობ<br>ები | შენობა<br>-<br>ნაგებო<br>ბები | მიწის<br>ნაკვე<br>თი | აღჭურვილ<br>ობა -<br>დანადგარი | სატრანსპო<br>რტო<br>საშუალებებ<br>ი | კომპიუტე<br>რული<br>ტექნიკა<br>და<br>ოფისის<br>აღწყვეილ<br>ობა | სხვა<br>ძირითად<br>ი<br>საშუალებ<br>ები | ჯამი           |
|-----------------------------------------|----------------------------|-------------------------------|----------------------|--------------------------------|-------------------------------------|----------------------------------------------------------------|-----------------------------------------|----------------|
| <b>2019 წლის ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | <b>920732</b>              | <b>240896</b>                 | <b>61450</b>         | <b>162964</b>                  | <b>35330</b>                        | <b>1704</b>                                                    | <b>3231</b>                             | <b>1426307</b> |
| შესყიდვა                                |                            |                               |                      |                                | 14200                               |                                                                |                                         | 14200          |
| გასვლა                                  |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| გაუფასურება                             |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| გადაფასების რეზერვი                     |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| ცვეთის ხარჯი                            | <b>46014</b>               | <b>12008</b>                  |                      | <b>3450</b>                    | <b>2993</b>                         | <b>135</b>                                                     | <b>177</b>                              | <b>64777</b>   |
| <b>2020 წლის ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | <b>874718</b>              | <b>228888</b>                 | <b>61450</b>         | <b>159514</b>                  | <b>46535</b>                        | <b>1569</b>                                                    | <b>3054</b>                             | <b>1375728</b> |
| შესყიდვა                                |                            |                               |                      | 57275                          | 69143                               | 4071                                                           |                                         | 130489         |
| გასვლა                                  |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| გაუფასურება                             |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| გადაფასების რეზერვი                     |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| სარემონტო სამუშაოები                    | <b>557978</b>              | <b>198358</b>                 |                      |                                |                                     |                                                                |                                         | <b>756336</b>  |
| ცვეთის ხარჯი                            |                            |                               |                      |                                |                                     |                                                                |                                         |                |
| <b>2021 წლის ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | <b>1432696</b>             | <b>427246</b>                 | <b>61450</b>         | <b>216789</b>                  | <b>115678</b>                       | <b>5640</b>                                                    | <b>3054</b>                             | <b>2262553</b> |

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                    | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|--------------------------|------------|------------|------------|
| ფული სალაროში            | 0          | 58415      | -          |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 343193     | 751167     | 2101821,91 |
|                          | 343193     | 809582     | 2101821,91 |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                         | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|-----------------------------------------|------------|------------|------------|
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 7416881    | 7154628    | 1626439    |
| მოთხოვნა მიწოდებიდან                    | 7334326    | 7093576    | 1480328    |
| სხვა მოთხოვნები                         | 82555      | 61052      | 146111     |

## 7. მარაგები

მარაგები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში              | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|--------------------|------------|------------|------------|
| ნედლეული და მასალა |            |            | -          |
| მზა პროდუქცია      | -          | -          | 361687     |
| საქონელი           | 564026     | 1042941    | 908598     |
|                    | 564026     | 1042941    | 1270285    |

## 8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                                | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|--------------------------------------|------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                | 4165020    | 5453349    | 341025     |
| გადასახელი ხელფასები                 |            |            | -          |
| გადასახდელი პროცენტები               |            |            | -          |
| გადასახდელი დივიდენდები              |            |            | -          |
| სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსი) | 3910118    | 661500     | 2850479    |

## 9. სესხები

|                                 | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|---------------------------------|------------|------------|------------|
| ბანკის სესხები                  | 249181     | 1969827    | 2667301    |
| დაკავშირებული მხარეების სესხები |            |            |            |

## 10. ამონაგები

ამონაგები 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                          | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|-------------------------------|------------|------------|
| სამშენებლო ხელშეკრულება       | 3408297    | 13674070   |
| მასალის რეალიზაცია            | 364278     | 1870739    |
| იჯარა                         | 50086      | 22623      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 17136      | 19450      |

## 11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2021 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                              | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|-----------------------------------|------------|------------|
| შრომის ანაზღაურება                | 631427     | 478779     |
| ცვეთა და ამორტიზაცია              | 0          | 64777      |
| ბანკის საპროცენტო ხარჯი           | 224658     | 185615     |
| იჯარის ხარჯი                      | 7500       | 52259      |
| მივლინების ხარჯები                |            |            |
| ჯამი:                             | 863585     | 781430     |
| ა/მანქანის მომსახურება            | 84697      | 503865     |
| კომუნალური ხარჯი                  | 15251      | 6426       |
| ოფისის ხარჯი                      | 5058       | 3013       |
| ა/მანქანის ტესტირება              | 543        | 152        |
| ქვე კონტრაქტორის მიერ შესრულებული | 1136130    | 7961119    |
| ექსპერტიზის ხარჯი                 | 30785      | 106629     |
| დაზღვევის ხარჯი                   | 6584       | 49190      |
| შესრულებული სამუშაოს ღირებულება   | 391949     | 536489     |
| სოციალური დანარიცხები             | 7539       | 6518       |
| ელ. ქსელზე მიერთების ღირებულება   | 678        | 18898      |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯის ჯამი: | 1679214    | 9192299    |

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. ამ ეტაპისათვის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს, რომელიც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:

შალვა შალვაშვილი